

ღღეს ნომერშია

გამგებელი ვეარ ხელავს 17 ა(ა)იპ-ის აუსილგალობას

2 გვ.

ტრენინგი თვითშეფასების კითხვარზე

2 გვ.

კვების რეაქტივობა მსჯელობაზე

2 გვ.

სკორტი

4 გვ.

მამუკა ლომიძე - ხარაგაულელი, ეპროკაში ცნობილი ბარიტონი

4 გვ.

ბანსხალეები

3-4 გვ.

145 ათასი ლარი ზიანის სალიკვიდაციოდ

ნოემბერში სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი, წვიმა) შედეგების სალიკვიდაციოდ ფინანსთა სამინისტრომ მთავრობის №2529 განკარგულებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს 145 000 ლარი გამოუყო.

მოსახლეობის სტიქიისგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლების, ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო და ხილბოვითი ადგილების ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარისგან 3 დეკემბერს მიიღო ნებართვა, რომ სტიქიისგან დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოები გამართივბული წესით, ერთ პირთან მოლაპარაკებით, შესრულდეს.

გამგებლის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მოვალეობის შემსრულებელ დავით თხელიძისგან წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნოემბერში მოხუცი სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლებისა და ინფრასტრუქტურის მოსახსნარ-გებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მოხმარდება 3 250 ლარი, გზებისა და ხიდების რეაბილიტაციას - 76 500 ლარი, დაზიანებული სახლების შეკეთებას - 43 150 ლარი, საყრდენი კედლების მოწყობას - 22 100 ლარი.

„ხარაგაულკეთილმოწყობის“ ყოფილი დირექტორი სასამართლოსთვის მიმართვას აპირებს



ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ 49 თანამშრომელმა დირექტორ მიხეილ ჭიპაშვილის გათავისუფლება 7 დეკემბერს საკრებულოს მორიგ სხდომაზე გააპროტესტა. მათ საკრებულოს წინასწარ მიმართეს წერილობით და სხდომაზე საკუთარი პოზიციების დაფიქსირება მოითხოვეს.

ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ ყოფილი დირექტორმა მიხეილ ჭიპაშვილმა ვრცლად ისაუბრა სამსახურისგან დაბა ხარაგაულსა და სხვა ტერიტორიული ორგანიზაციების სოფლებში განხორციელებულ პროექტებზე. მან გაიხსენა ვარლამ ჭიპაშვილთან გასულ წლებში დაწყებული დაპირისპირება, რაც ერთი კვირის წინ მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საბაბი გახდა.

მიხეილ ჭიპაშვილის თქმით, ვარლამ ჭიპაშვილი ბაზალეთის ადმინისტრაციული ორგანოს რწმუნებულად მუშაობისას ცდილობდა გაეყალბებინა დოკუმენტები და სტიქიის შედეგად დაზარალებულთათვის გამოყოფილი თანხა ისეთ ოჯახს მიეღო, ვინც ამას რეალურად არ საჭიროებდა. მიხეილ ჭიპაშვილი იმ დროს ამ მიზნით შექმნილ კომისიას ხელმძღვანელობდა.

მიხეილ ჭიპაშვილმა განაცხადა, რომ ვარლამ ჭიპაშვილი ეწინააღმდეგებოდა ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ შენობისა და მანქანის გადაცემას, შესრულებული სამუშაოებისთვის თანხის ჩარიცხვას.

მიხეილ ჭიპაშვილმა განმარტა, რომ ვარლამ ჭიპაშვილი ბრალს ღებს იმაში, რომ სოფელ ბაზალეთში გზის მოასფალტების შემდეგ ვარე განათების სამუშაოების წარმოებისას გზა ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ მანქანამ დააზიანა. „მედიამდევლობის სამსახურისგან მომზადებულ არც ერთ დოკუმენტში არ არის ნახსენები, რომ გზა დაზიანდა ჩვენი ავტომანქანის მუშაობის შემდეგ.“ - ამბობს მიხეილ ჭიპაშვილი.

მისივე თქმით, ის 22 ოქტომბერს საკრებულოში მივიდა მეუღლესთან საღამოს რვის ნახევარზე. „გავიგონე ვარლამ ჭიპაშვილის ხმა. მისი ნებართვის შემდეგ შევედი მასთან კაბინეტში და ვთხოვე განმარტა, თუ რას უკავშირდებოდა ჩემს წინააღმდეგ მისგან განხორციელებული ქმედებები. მან მითხრა, რომ პოლიტიკოსია და რასაც უნდა იმას იტყვის. შენ და შენი დეპუტატი, ნოდარ ებანოძე, თუ გამლანძღავთ, მე ავმადლდები, მითხრა ვარლამ ჭიპაშვილმა. მხოლოდ ის ვუთხარი, რომ მისნაირი უნამუსო ჭიპაშვილი არასოდეს მინახავს. ამ ფაქტთან დაკავშირებით მან პოლიციას მიმართა, რაზეც საქმე არ აღიძრა.“ - განაცხადა მიხეილ ჭიპაშვილმა.

ამის შემდეგ საკრებულოს წევრებმა - ფრაქცია „ქართული ოცნების“ და „მრეწველების“ წევრებმა, ასევე დამოუკიდებელმა დეპუტატებმა - ვარლამ თავზარაშვილმა, ჯამბულ გამყემლიძემ, მანანა ბარბაქაძემ, შალვა ლურსმანაშვილმა, დავით ლურსმანაშვილმა, გივი თხელიძემ, ვიორჯი გრიგალაშვილმა, ბესიკ ტალახაძემ, დავით კიკნაძემ, ბესიკ ფოცხვერაშვილმა, აზა ფურცელაძემ, ნონა ბურაბიანმა, ვარლამ ჭიპაშვილმა, ოუზა კვლენჯე-რიძემ, გივი ხიჯაკაძემ, მარინე ვეფხვაძემ, ვლადიმერ ტალახაძემ და მერაბ ტალახაძემ წერილობით მიმართეს მუნიციპალიტეტის გამგებელს, სადაც დაემეს მიხეილ ჭიპაშვილის ქმედება.

„კატეგორიულად მოვითხოვთ აღნიშნულ ფაქტზე მიხეილ ჭიპაშვილის მიმართ ვაატაროთ მკაცრი ღონისძიებები.“ - აღნიშნული დეპუტატებისგან გამგებლისთვის გაგზავნილ წერილში.

მიხეილ ჭიპაშვილი ამბობს, რომ გამგებელთან საკითხის განხილვისას ვარლამ ჭიპაშვილმა ვერ დაამტკიცა და ვერ დაასაბუთა მისი არასამართლებრივი ქმედება. „მე მოვუწოდებ ვარლამ ჭიპაშვილს, რომ

ბოდიში მოეხადა დეპუტატებისთვის, რომლებიც მან შეცდომაში შეიყვანა და რის გამოც სხდომები ჩაიშალა.“

პარლამ ჭიპაშვილი აცხადებს, რომ მიხეილ ჭიპაშვილმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და მისი მხრიდან აღვილი ჰქონდა ფიზიკური შეურაცხყოფის მცდელობა. „ნასჯამი მოვიდა ჩემთან და მთხოვდა პასუხს ჩემს მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დროს გაკეთებული განცხადებების შესახებ. მოითხოვდა ჩემგან ახსნა-განმარტებებს, თუ რატომ მივიღე ესა თუ ის გადაწყვეტილება. არავის აქვს უფლება, საკრებულოს წევრის საქმიანობაში ჩაერიოს და მას ახსნა-განმარტებები მოსთხოვოს.“ - აცხადებს ვარლამ ჭიპაშვილი და მიიჩნევს, რომ გამგებელმა მიხეილ ჭიპაშვილი თანამდებობიდან კანონიერად გაათავისუფლა.

საკრებულოს სხდომას არ დასწრება მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი. მისი პირველი მოადგილის, **პაატა შოროლაძის** ინფორმაციით, „მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი არ იმყოფება ხარაგაულში. სხვა საკითხებთან ერთად, რომელიც აქტუალურია და მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარეობს, მათ შორის დღეს აქ განხილულ საკითხზეც, ბატონი კობა გარკვეული კონსულტაციების შემდეგ ხვალ გავცემო პასუხს.“ - აღნიშნა პაატა შოროლაძემ 7 დეკემბერს გამართულ სხდომაზე.

მიხეილ ჭიპაშვილი ამბობს, რომ ის სასამართლოს მიმართავს და ბრძოლას სამართლიანობის დადგენისთვის იქ გააგრძელებს.

ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ თანამშრომლები კი აგრძელებენ გაფიცვას მანამდე, სანამ, მათივე თქმით, არ დადგინდება სიმართლე და თანამდებობაზე არ დააბრუნებენ მიხეილ ჭიპაშვილს.

ყურადღება!

2016 წლის 27 იანვარს 12 საათზე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ხარაგაული, 9 აპრილის ქუჩა №15), ხოლო 16 საათზე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2) გაიმართება „თბილისი-ბათუმი“-ს მაგისტრალური სარკინიგზო ხაზის „ხაშური-ხარაგაული-შესტაფონი“-ს მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში დაგეგმილი, მოლითი-ხაშურის ახალი სარკინიგზო ხაზის, მოლითი-ქვიშხეთის მონაკვეთის პროექტში შეტანილი ცვლილებების და დამატებების გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, ხაშური-ხარაგაული-შესტაფონის სარკინიგზო მაგისტრალის, მოლითი-ხაშურის ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ადმინისტრაციულ შენობაში - ხარაგაული, 9 აპრილის ქუჩა №15;
- ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის ადმინისტრაციულ შენობაში - ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2);
- სს „საქართველოს რკინიგზა“-ს ადმინისტრაციულ შენობაში - ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15;
- შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში - ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.

ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიანოლოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- ნინო ჩობანიანი. ტელ: 591 199 149 ;

E-mail: nino.chobaniani@railway.ge;

- ჯულუღი ახვლედიანი, - ტელ: 2 60 15 27;

E-mail: j.akhvlediani@gamma.ge.

საზოგადოებასთან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

სს „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაცია

ტრენინგი თვითშეფასების კითხვარზე



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 49 მასწავლებელს თვითშეფასების კითხვარზე დაკავშირებით ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგი განათლების პროფკავშირის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის ორგანიზებითა და დაფინანსებით გაიმართა.

„სანაგარეო კრებაზე მასწავლებლებს მიემართე, თუ რა მიმართულებით სურდათ დატრენინგება. უმრავლესობამ აღნიშნა, რომ თვითშეფასების კითხვარზე ესაჭიროებოდათ მეტი ინფორმაცია,“ - აღნიშნა განათლების პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე **ლალი სამისაშვილი**.

ვახანის საჯარო სკოლის მასწავლებელი **ლოლო ხარაგაული** მიიჩნევს, რომ ტრენინგზე სასარგებლო ინფორმაცია მიიღო. „თვითშეფასების კითხვარზე ბევრი საშუალება. ამით ახარისხებ შენს ცოდნას და უკეთ ერკვევი,“ - ამბობს დოლო მასწავლებელი.

„თვითშეფასების კითხვარების შევსებისას აუცილებელია, რომ მასწავლებელი იყოს გულწრფელი, - ამბობს ნადაბურის საჯარო სკოლის მასწავლებელი **გაბრიელა შაბაძე**, - მომავალში ეს დაგვეხმარება გა-

ვამუშაოებოთ სასწავლო პროცესი. ტრენინგი ძალიან კარგად გადმოგვცემს ინფორმაციას. აუცილებელია ასეთი შეხვედრები და გამოცდილები გაზიარება.“

ბაზალეთის საჯარო სკოლის მასწავლებელი **თბაქაძე ანა** ამბობს, რომ თვითშეფასების კითხვარი „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მთავარი მამოძრავებელი ძარღვია. „თვითშეფასების კითხვარი მასწავლებელთა ნაწილში უარყოფითად შეფასდა და მას „კომპარი“ უწოდა, - გვიამბობს თბაქაძე. „თვითშეფასების კითხვარის შევსება თითოეულ ჩვენს გვეხმარება წინსვლაში, ჩვენი საჭიროებების დადგენაში, გვაძლევს დაგვიწოდებ ჩვენს ძლიერსა და სუსტ მხარეებზე. შეკითხვა, პუნქტი, რეფლექსია, - ეს ყველაფერი ჩვენთვის ნაცნობია. თუ ყოველდღიურად ვაკვირდებით საკუთარ საქმიანობას, მოვინებავთ, რა გვექნება კარგი და რა სუსტი, რისი გაუმჯობესება გვჭირდება, - თვითშეფასების კითხვარის რეფლექსიის დაწერა არ გავვიწყობ.“

რაც შეეხება სპონსორს ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციისგან ჩატარებულ ტრენინგს, თბაქაძე

მისი მიზნებს, რომ მასწავლებლებს მაქსიმალური ინფორმაცია მიანიჭოს ტრენინგმა კითხვარში საორიენტაციოდ. „ტრენინგი დაწვრილებით გვესაუბრა რეფლექსიის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე. გვითხრა, რომ რეფლექსია გვაძლევს საშუალებას, ახლებურად გავიხაროთ მასწავლებლის როლი. რეფლექსია არის სარკე, რომლის საშუალებითაც ჩვენ საკუთარ თავს გვერდობა ვაფასებთ,“ - დასძინს თბაქაძე. ნადაბურის საჯარო სკოლის მასწავლებელი **მალხაზ მალაშვილი** ტრენინგზე მიღებული ცოდნა დაეხმარება ფეხი აუწყოს იმ სიახლეს, რაც განათლების სისტემაში იწვევება.

„სიახლის მიმართ ყოველთვის არსებობს გარკვეული შიში, - ამბობს ტრენინგი **ლალი სამისაშვილი**, - თვითშეფასების კითხვარი მასწავლებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია და აუცილებელია. საკუთარი თავის შეფასება ვინც იცის, უნდა გააგრძელოს, ვინც არა, - უნდა ისწავლოს. თვითშეფასება გვჭირდება იმისთვის, რომ საჭიროებები დავადგინოთ, მერე კი დავგვემოთ, როგორ გავიმუშაოთ პროექტი.“

ნიკოლოზ კახაია

გამგებელი ველარ ხელმძღვანელი ხარაგაულში 17 ა(ა)იპ-ის აუცილებლობას

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელ კობა ლურსმანაშვილს გამგებლის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე რამდენიმე ა(ა)იპ-ის გაერთიანებაზე უსაუბრა. ამის შესახებ ინფორმაციას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი kharagauli.ge ავრცელებს.

„2016 წლისათვის ა(ა)იპ-ებისგან მოთხოვნილი თანხები მათგან რეალურად ვაკეთებულ საქმეზე ბევრად მეტია. „ხალხური შემოქმედების სახლს“ იმაზე მეტი დაფინანსება აქვს, ვიდრე გასულ წლებში ჰქონდა. ამბობენ, რომ გამგებელი „ხალხური შემოქმედების სახლს“ დახურვით ემუქრება. არაფერს ვემუქრები, ვაპირებ დავამყარო წესრიგი. „ხალხური შემოქმედების სახლს“ საინტერესოა, რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულში თუ ჩაუტარებია რაიმე ღონისძიება. ხარაგაულის სახალხო თეატრი აქტიურად თანამშრომლობს ა(ა)იპ „კულტურის ცენტრთან“, მათ თოჯინების თეატრით მთელი მუნიციპალიტეტი შემოიარეს, მაგრამ ეს

მხოლოდ ინდივიდების დამსახურებაა. მართალია, კულტურის სფეროში მოღვაწე ა(ა)იპ-ები მუშაობენ, მაგრამ ეს საკმარისი არაა. მათ აქვთ რესურსი, გაედიდონ ადმინისტრაციულ ერთეულებში და სოფლის მოსახლეობას უფრო ახლოს გააცნონ ხარაგაულის შემოქმედება, - ამბობს **კობა ლურსმანაშვილი**, - რამდენიმე ა(ა)იპ-ის საქმიანობა გადასახვდია. ამიტომ ჩვენ მივმართავთ საკრებულოს ა(ა)იპ-ების გაერთიანების ინიციატივით. ვერ ვხედავ იმის აუცილებლობას, რომ ხარაგაულში 17 ა(ა)იპი არსებობდეს.“

გამგებელს თათბირზე ასევე აღუნიშნავს, რომ გამგებლის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურიდან მინიჭებული ინფორმაციით, ხარაგაულში ორ-ორ ადგილზე დასაქმებული 44 ადამიანი გამოვლინდა.

„მომავალი წლიდან ასე აღარ იქნება. არ შეიძლება ერთი პიროვნება იყოს დასაქმებული ორ სამსახურში და სხვას ერთიც არ ჰქონდეს“, - ამბობს ხარაგაულის გამგებელი.

კვების ობიექტების მდგომარეობაზე ბრუნავენ

საბავშვო ბაღებისა და სკოლების კვების ობიექტებში არსებული მდგომარეობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში განიხილეს. ამის შესახებ ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა მოგვარა.

შეხვედრაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს თბილისის მერი დავით ნარმანია და მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან და ადგილობრივი თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი გიორგი ამაშუკელი მონაწილეობდნენ. მთავრობის წევრებს ქვეყნის მასშტაბით საბავშვო ბაღებსა და სასკოლო დაწესებულებების კვების ობიექტების სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში სურსათის ეროვნული სააგენტოსგან განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში სააგენტოს უფროსმა, **ზაზა ლოლიძემ** წარუდგინა.

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სასწავლო დაწესებულებების კვების ბლოკების შემოწმება 2013 წლიდან დაიწყო. 2014-2015 წლებში აღნიშნული მიმართულება განსაკუთრებით პრიორიტეტული გახდა. საჯარო და კერძო სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებებში ქვეყნის მასშტაბით მოწმდება სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, სურსათის უვნებლობა, პროდუქციის ვალიდობა და ეტიკეტირება.

მინისტრ **როსტომ ჯანაშიას** განცხადებით, „2013 წლამდე სასწავლო დაწესებულებების კვების ობიექტები არ კონტროლდებოდა. 2015 წლის ბოლოს სრული სურათი გვაქვს იმისა, თუ რა მდგომარეობაა სასწავლო დაწესებულებების კვების ობიექტებში. ქვეყნის მასშტაბით ყველა საბავშვო ბაღი უკვე შემოწმდა და სკოლების 80%-ზე მეტი წლის ბოლომდე შემოწმდება. შემუშავდა რეკომენდაციები, რომლის შემუშავებაშიც ყველა შესაბამისი უწყება - ჯანდაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, ინფრასტრუქტურის სამინისტრო, თბილისის მერია და რეგიონის თვითმმართველობები არის ჩართული. შემუშავებული რეკომენდაციები გულისხმობს ჰიგიენური ნორმების დაცვას, კვების სწორი რაციონის შექმნას და ა.შ. - აღნიშნა ოთარ დანელიამ.

„უკვე დავასრულეთ რეკომენდაციების დოკუმენტზე მუშაობა და ვაგერეთ კონკრეტული გეგმა ამ რეკომენდაციების განსახორციელებლად, - ამბობს მინისტრი **ლალი სამისაშვილი**, - რეკომენდაციებით სასწავლო დაწესებულების თანამშრომლებს მივნიშნავთ დეტალური ინფორმაცია ბავშვთა ჯანსაღი კვების პრინციპებზე. მერე მნიშვნელოვანია მიმართულება პროდუქტების დაფიქსირება, განსაზღვრა, თუ რომელი პროდუქტების მიღებაა აუცილებელი და მიზანშეწონილი ბავშვებისთვის და რომელი პროდუქტები საერთოდ ამოსაღებია კვების რაციონიდან. მნიშვნელოვანია სასწავლო დაწესებულებების სუფთა სასმელი წყლით უზრუნველყოფა, ასევე ქვეყნის მასშტაბით არსებულ სკოლებში ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა, სუსტი წერტილების მოძიება და აღმოფხვრა, რათა მოქმედებები ამუშავდეს ეს პროგრამა“, - აღნიშნა დავით სერგენკომ.

სურსათის პროექტული სააგენტოს რამდენიმე ციტირება:

- საბავშვო ბაღებში, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, აღარ გამოიყენება ალუმინისგან დამზადებული ინვენტარი, რომელიც მიჩნეულია მთელი კლასიფიკაციის სამშრომლების ელემენტად და დაუშვებელია ბავშვთა კვების მოსამზადებლად.
- საბავშვო ბაღების უმეტესობა მოაწესრიგა ინფრასტრუქტურა და სარემონტო სამუშაოები ეტაპობრივად მიმდინარეობს.
- თითქმის ყველა საბავშვო ბაღის სამმართველოში მოწესრიგდა წყალგაყვანილობა (ცხელი წყალი).
- საბავშვო ბაღებში მოწესრიგდა ჰიგიენური მდგომარეობა, მათ შორის, პერსონალის ჰიგიენა, სურსათის ტემპერატურული რეჟიმის დაცვა, რეცხვა-დეზინფიცირება.
- სურსათის ეროვნული სააგენტო საბავშვო ბაღების პერსონალისთვის პერიოდულად ატარებს ტრენინგებს თემაზე „5 გასაღების პრინციპი“, რომელიც სამმართველოს პერსონალის ჰიგიენის აუცილებელ ნორმებს შეეხება.
- საბავშვო ბაღებში სურსათით მომარაგებასთან დაკავშირებით ტენდერების გამოცხადების დროს სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან ტექნიკური სპეციფიკა თანხმდება და ცხოველური წარმოშობის სურსათის მომარაგების პირობები მკაცრად არის რეგლამენტირებული.

აქცია „ჩემი შესანიშნავი ტაძრის მშენებლობას“ ბრძოლდება

ნოემბერში ხარაგაულის საკათედრო ტაძრის მშენებლობის შესანიშნავი შემოიტანეს:

1. საიდუმლო შემოწმებლობა (თბილისი) - 3000 ლარი;
 2. თორნიკე ავალიშვილი (ხარაგაული) - სახელობითი ჩუქურთმის - 270 ლარი;
 3. ე. კვიციანი სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების თანამშრომლები - 126 ლარი;
 4. ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ თანამშრომლები - 63 ლარი;
 5. ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“ თანამშრომლები - 78 ლარი;
 6. ავთანდილ ფეციქიალაძე - 20 ლარი;
 7. გულ ტალახაძე (ზვარე) - სახელობითი ჩუქურთმის - 50 ლარი;
 8. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თანამშრომლები - 12 ლარი;
 9. საიდუმლო შემოწმებლობა (ხიდარი) - 50 ლარი;
 10. საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამშრომლები - 20 ლარი;
 11. ლელა მალაფერიძე - სახელობითი ჩუქურთმის - 40 ლარი;
 12. თბილისში განთავსებულ შემოწმებლობათა ყუთების გახსნით შემოვიდა - 594 ლარი.
- ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელობა მალაფერიძეს უხდის ყველას, ვინც შესანიშნავი გაიღო და ვისაც უხარიათ ამ ტაძრის აშენება. ღმერთი

იყოს მათი მფარველი!

ის, რაც დღემდე აშენებული და გაკეთებულია, სწორედ ასეთი კეთილადამიანთა მხარდაჭერით, მათი გაღებული შემოწმებლობებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდირებით, თითქმის ყველა სოფლიდან მუშახელის მონაწილეობით, მშენებლობის სწორი მენეჯმენტით და უფლის ნებით გახდა შესაძლებელი და მშენებლობის 95 პროცენტი შესრულებულია - მშენებლობის მაღალი ტექნოლოგიური პროცესების დაკვირვება და გარე ფასადის მთლიანად მოჭრუქვით, წმინდანთა ბარელიეფებით და მხატვრული კომპოზიციებით არის დატვირთული. ამის მიღწევა დიდ უნარს და შრომისგარჯას მოითხოვდა და ამ უნარის ადამიანების მხარდაჭერით, მათი შრომით გაკეთდა ის, რაც დღემდე სახევა.

მიუხედავად იმისა, რომ გასული 2014 წლის მსრულებული სამუშაოების სერიოზული დავალიანება გადმოგვყვა და ამ წელშიც ერთი ლარი სუბსიდიაც არ მიგვიღია ადგილობრივი ბიუჯეტიდან (ეს სხვა განსჯის საკითხია), ისევე კეთილადამიანთა მხარდაჭერით, მათი თანადგომითა და შემოწმებლობებით გარკვეული თანხის მოხიზვითა და შესაძლებელი, ნაწილი დავალიანებას ვავისტუმრეთ და შევიძინეთ ცემენტ გუმბათისპირა აფრებისა და თალების გადასახტონებლად, რომლის არმირებული ქარგალები

ერთ წელზე მეტი ელოდებოდა მონაცლეთა კეთილ ნებას. ისევე რიგითი კეთილი ადამიანების, სახელობითი ჩუქურთმების შემოწმებლობა დახმარებით გახდა შესაძლებელი გადაბეტონდეს ქარგალები. ეს რთული სამშენებლო ტექნოლოგიური პროცესია, სიმუსტერ არის დასაცავი და ბევრ სპეციფიკურ შრომას ითხოვს, ჩვენ ამისთვის თითქმის მზად ვართ. გადაბეტონების პროცესი თბილისში უნდა მოეწაროს. ამისათვის ბევრი მუშახელიც არის საჭირო. დეკემბრის 13 რიცხვიდან გრძელვადიანი ამინდის პროგნოზიც იძლევა მუშაობის საშუალებას. ამიტომ, ვთხოვ ყველა ხარაგაულელს, მიიღოს მონაწილეობა გადაბეტონების პროცესში. ჩვენ ვეცდებით შაბათ-კვირა გამოვიყენოთ, ადამიანებს ხელი რომ არ შეემალოთ სამსახურში.

იმედია, ხარაგაულის საზოგადოება სწორად შეაფასებს არსებულ ვითარებას და ყველა ერთსულოვნად მიიღებს მონაწილეობას ამ ტაძრის გადაბეტონებაში, ყოველგვარი ამბიციების, პარტიული კუთვნილებისა თუ პირადი ზრახვებისა. სწორედ ტაძრის მშენებლობა იყო, არის და იქნება ერის გაერთიანების სიმბოლო.

პატივისცემით, **გიორგი ბუბულაშვილი** ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი

პირველი წარმატება

ვაშლივეის საჯარო სკოლაში იაკობ გოგებაშვილის 175-ე წლის-თავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო ჩატარდა. ამავე საღამოზე გამოვლინდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის მიერ გამოცხადებული კონკურსის თემაზე „იაკობმა მისცა ფრთები ქართველს ცაში ასაფრენად“ გამარჯვებული პირველი კლასის მოსწავლე ელენე თხელიძე (მასწავლებელი დარეჯან ქურციკიძე). მან მხატვრულად წაიკითხა იაკობ გოგებაშვილის ლექსი „მონვევა სწავლაზე“ და წარმოადგინა ვიდეოკოლაჟი მოთხრობისა „უსურო ყვავილის“.

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა

კავშირის გაეგზავნა ელენე თხელიძის მხატვრული კითხვის ნიმუში DVD დისკით. პედაგოგთა კავშირმა, რესპუბლიკის დამსახურებული პროფესორის ვარი ჩაფიძის ხელმძღვანელობით, გამოავლინა გამარჯვებული ელენე თხელიძე და გადაეცა იაკობ გოგებაშვილის სახელობის საპატიო სიგელი.

ეულოცავთ პატარა ელენეს ამ პირველ დიდ წარმატებას და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სწავლაში წარმატებებს. გამრდილიყოს წარმატებული და სახელოვანი ქართველი ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ქაიხოსრო ლურსაბაშვილი
ვაშლივეის საჯარო სკოლის დირექტორი

ვასილ ლომიძის მონატრება



ერთმა წელმა გაიარა, რაც ვასილ ლომიძე მარადიულ სასუფეველში გადასახლდა. თუმცა რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, გნამდეთ, ბატონო ვასილ, არასოდეს დაავიწყდებით თქვენს ოჯახს. თქვენ ხომ მზრუნველი მეუღლე, მამა, ბაბუა, ბიძა, სიმამრი, მეგობარი და ახლობელი იყავით ყველასთვის. ახლობლებს გულით იღებდით, შრომისგან დაღლილი ხელს უწყობდით და რაც შეეძლო, იმით ეხმარებოდით. იყავით გონიერი და საოცარი იუმორის მქონე. ამიტომაც არის, რომ პატივისცემით გვისენებს ყველა.

იმ მიმე და ბნელმა წლებმა, რომელიც გამოიარეთ, ჯერ თბობა, შემდეგ დიდი სამამულო ომი, დაღი დასვა თქვენს ცხოვრებას. მიუხედავად ამისა, შექმენით მშვენიერი ოჯახი, დატოვეთ კარგი შვილები და სასახლო შვილიშვილები.

რაც დრო ვადის, მეტად ენატრები თქვენს მეუღლეს, ქალბატონ თინას. თქვენ ხომ ერთად ენეოდით 60 წელი ცხოვრების ჯაპანს. ძალიან უჭირს უთქვენოდ. ხშირად დავის თქვენს საფლავზე. არ აკლებს მოვლას და პატრონობას. თქვენ რომ სიცოცხლე გაგისხანგრძლივდათ, ეს ქალბატონი თინას, შვილების ყურადღებისა და ღვრთის მადლია.

ცხოვრებაში ბევრ კარგს მოესწარით, მაგრამ გულს გტკენდა თქვენი შვილის, მარინას მეუღლის - დათო ბარბაქაძის მდგომარეობა, - დიდი მომავლის ახალგაზრდა უბედურმა შემთხვევამ უნარშემლულად რომ აქცია. ის დიდ პატივს გცემდა და ახლაც დიდი სიყვარულით გვიგონებს.

ძინეთ მშვიდად. თქვენ პირნათლად მოიხადეთ ვალი სამშობლოს, ოჯახისა და შენი სულისთვის მლოცველი მეუღლის ნინაზე. ღმერთმა დალოცოს თქვენი დიდი ოჯახი და კეთილი საქმეებით გააძლიეროს!..

ნანული ჩაღუნელი

ბადრი სხვაძის ბამოსათხოვარი



ელვასავით მოედო რაიონს ბადრი სხვაძის გარდაცვალების ამბავი. კიდევ ერთი კაცური კაცი, ერთგული მეუღლე, საამაყო მამა, საყვარელი ბაბუა, კეთილი მეგობარი, ულაღატო მეგობარი, დაუმარელო პიროვნება გამოაკლდა ოჯახს, სოფელს, რაიონს.

შენ ხომ ყველგან სიკეთეს აფრქვევდი, ყველას სიხარულს იზიარებდი. გმირულად იბრძოდი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომებში შენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის. იყავი საუკეთესო თამადა. ამდენი ვეღარ აიტანა შენმა კეთილმა გულმა, ავადმყოფობა შეგეპარა. ოჯახმა ყველაფერი იღონა შენს გამოსაჯანმრთლებლად. გვერდში გვედგნენ მეგობრები და ახლობლები, მაგრამ ამაოდ. 61 წლის ასაკში გიღალატა შენმა კეთილმა გულმა. ყველასათვის მოულოდნელად დაასრულე სიცოცხლე შენი საყვარელი ხალხის გარემოცვაში. ჩვენ, ოჯახს, მეტი რა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულის ნათელსთვის, შეგებოვით უფალს, დაგიმკვიდროს სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ. მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრბილი სოფელი კიცხის მინა. გნამდეს, ამისთვის არ მოგაკლდება ჩვენგან სანთელი, ლოცვა-კურთხევა. არ შეგარცხვენთ არასოდეს. შენს შვილიშვილებს გავზრდით ისეთ საამაყოს, როგორიც შენ იყავი. ძინეთ მშვიდად, ჩვენი ბუმბერაზო ბადრი, ამინ.

ოჯახი

შეჰერა ხრიძის ხსოვნას



სიკვდილსაც კარგის გამორჩევა უყვარსო, ნათქვამია. გვჯერა, მარადისობაში გადასული თქვენი სული მალე მეციურ საუფლოში იქნება და იქიდან ილოცებს იმ ოჯახის, ნათესავ-ახლობლებისა თუ მეგობრებისათვის, ვისთვისაც დიდ ტკივილია თქვენი ამქვეყნიდან წასვლა. ყველასთვის კარგად ნაცნობი ბატონი ირაკლი ხაჩიძის ოჯახში აღზრდილი სხვაგვარი როგორი შეიძლება ყოფილიყო, თუ არა კეთილშობილი, სათნო, ლამაზი, გულისხმიერი, სხვისი გვერდში მდგომი, ტკბილად მოსაუბრე, კარგი დიასახლისი და განონასწორებული ქალბატონი, რომელსაც ადამიანებთან ურ-

თიერთობის გამორჩეული უნარი გქონდათ, პირადულზე წინ ყოველთვის საერთო საქმეს აყენებთ, აქტიურად იყავით ჩართული სოფლის საკეთილდღეო საქმეებში. წლების მანძილზე მუშაობდით ხევის საჯარო სკოლაში, სადაც აღსაზრდელებს ხელოვნების სიყვარულს აზიარებდით, სილაშხის, ესთეტიკურის აღქმის უნარს უვითარებდით. ძალიან გიყვარდათ ყოველივე ქართული, წყნარად საოცრად ლამაზი კალიგრაფიით. კარგად იცნობდით ქართული თუ მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების შემოქმედებას, მოსწავლეებსაც მუდამ მხატვრული ლიტერატურის კითხვას შთაავრებდით. სკოლას ბევრი, ძალიან ბევრი ლამაზი ღონისძიება ახსოვს, თქვენი ინიციატივით ჩატარებული, აღსაზრდელებთან ერთად არაერთ კონკურსში მიგიღიათ მონაწილეობა და ეს ყველაფერი უკვე წარსულია. დღეს კი თქვენი მეუღლის, შვილების, შვილიშვილებისა თუ დედმამიშვილების დიდ გულისტკივილს ვერაფერი შეცვლის. ძნელია თქვენი დაგინწყება. ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროთ...

ხმის საჯარო სკოლა

მადლობა ბატონ ალექსანდრე ბარბაქაძის

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩემი უახლოესი მეგობარი მაია კიკნაძე მძიმე მდგომარეობაშია. მაიკო სიკეთითა და სიყვარულით გამორჩეული ადამიანია, ჩემი სული ნაწილია. ის უპატიოსნესი ოჯახის პატრონია.

დავით მღებრიშვილის ოჯახისთვის ამ ძნელდებლობის ჟამს მის გვერდითაა და უანგაროდ ეხმარება ექიმს ალექსანდრე ბარბაქაძე. ვნუხარ, რომ ბატონი ალექსანდრე, ნამდვილი, ღირსე-

ული ხარაგაული და მაღალი დონის პროფესიონალი, დღეს თანამდებობრივად დაქვეითებულია და გულნატკენია. უფალი სამართლიანია და ყველას თავისას მიაგებს.

მინდა უღმესი მადლობა გადავუხადო ბატონ ალექსანდრე ბარბაქაძეს ჩემი და დავით მღებრიშვილის ოჯახის სახელით. ღმერთმა სიკეთე და სიხარული არ მოაკლოს მის ოჯახს.

პატივისცემით **ნაზი იაშვილი**

იყიდება

იყიდება ოროთახიანი ბინა მესამე სართულზე სარდაფითა და ბუნებრივი აირით. მისამართი, ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. №58 (რიყის ბინები)
ტელ.: 599 72 20 72.

იყიდება ხარაგაულის რაიონის სოფელ ღარსხევში ლოლა დეკანოზიძის სამი სახლი - საავტოკედ და მუდმივად საცხოვრებლად. შეიძლება ცალ-ცალკე გაყიდვა.
ტელ.: 595 32 25 78.

ჯემალი ტაბატაძის მონატრება



ჩვენო მონატრებული და ლამაზო შვილო, შენ მოგიკვდეს დედა. 2005 წლის 13 ოქტომბერს

49 წლის ასაკში მწარე ბედისწერამ წაგვართვა შენი თავი. 13 დეკემბერს 60 წელი გისრულდება. დატოვე მოხუცი მშობლები და საყვარელი ცოლ-შვილი. შენს ნანატრ გიორგის ახლა უნდოდა მამის გვერდით ყოფნა. დატოვე ერთი შვილიშვილი. ახლა ოთხი გყავს - სერგი, ნატალი, ელენე და ლაშა.

უფალს შევთხოვთ, დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი. არ მოგაკლდეს ნათელი და სანთელი.

შენი გულდათუხილი დედა და მამა ქიქოძე ანატი
ტაბატაძე

შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი - ხარაგაული“ მდგომარეობის ღრმა მწუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა ექიმი **ნათია შურციკიძე** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

თინათინ მჭედლიძე, მიხეილ სეფაშვილი ოჯახით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა **ნათია შურციკიძე**

და თანაუგრძნობს შვილებს ანა, თამარ, ეკა, ანდრო მალრაციებს დიდ მწუხარებაში.

ავთო ვფეხვაძე, გოდერძი ეჭიბაძე და მალხაზი ლურსმანაშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ქეთევან კვანტრიშვილს მამის **იური კვანტრიშვილის** გარდაცვალების გამო.

ა(ა)იპ „ხარაგაულის სათნოების სახლის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ თანამშრომელს ქეთევან კვანტრიშვილს მამის **იური კვანტრიშვილის** გარდაცვალების გამო.

ზვარის საჯარო სკოლის დირექტორი, პედაგოგი და ტექნიკური თანაუგრძნობთ ჩვენს პედაგოგს ირმა გერლიანს საყვარელი ბიძის

ჯაშუ გერლიანის

გარდაცვალების გამო. ღმერთმა დაუშვიდროს სასუფეველი მის სულს.

წიფის ადმინისტრაციული ერთეულის თანამშრომლები და ბიბლიოთეკარი თანაუგრძნობთ წიფის ამბულატორიის ექთანს ელვა ბანცაძეს ბებულის და მზია ბანცაძეს დედის

ვახაი ლაგაშვილის

გარდაცვალების გამო.

ღორემის საჯარო სკოლის დირექტორი და პედაგოგი თანაუგრძნობენ ამავე სკოლის პედაგოგებს დინარა ხაჩიძესა და იმბურგი იჩქიტძეს დისა და ცოლისდის

შაჰმარ ხაჩიძის

გარდაცვალების გამო.

სოლომონ მეფის ქ. №56(ა) კორპუსის მცხოვრები მეგობრები: ვალოდია არამიანი, გიორგი ლომიძე, ქეთევან გიორგაძე, გურამი გობაძე, მაია ლურსმანაშვილი, ზაზა იმედაშვილი, ნილი კამკამიძე, ნუნელი უჩიძე, მალხაზ ხარატიშვილი, ბუჟანი კალანდაძე, დავით ლომიძე, თამარკო ციციშვილი, ბექა მანჯავიძე, ნაზი გიორგიძე სამძიმარს უცხადებენ ქეთილო კვანტრიშვილს მამის

იური კვანტრიშვილის

გარდაცვალების გამო.

ნადაბურის საჯარო სკოლის პედაგოგი და ტექნიკური თანამშრომლები დარო გრიგალაშვილსა და მარინა გელაშვილს დისა და დედის

ციცინო ბრიგადაშვილის

გარდაცვალების გამო.

ნადაბურის საჯარო სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლეები და მშობლები თანაუგრძნობენ კლასის ხელმძღვანელს მაია გელაშვილს დედის

შაჰმარ ხაჩიძის

გარდაცვალების გამო.

ბორის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლეები და მოსწავლეთა მშობლები თანაუგრძნობენ კლასის დამრეგებელ ლია ჩაღუნელსა და პედაგოგ ანა სხვაძეს მეუღლისა და მამის

ბადრი სხვაძის

გარდაცვალების გამო.

წიფის საჯარო სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგი და ტექნიკური თანამშრომლები ამავე სკოლის პედაგოგს ლია გელაშვილს დედის

ციცინო ბრიგადაშვილის

გარდაცვალების გამო.

კიდევ ერთი გულიანი ქართველი გამოაკლდა ჩვენს უბანს, სოფელს, რაიონს, ქვეყანას. სახელიანი კაცი, ახლანდელი, ქართველი სულით ხორცამდე. ყველგან სასურველი სტუმარი და შეუცვლელი თამადა

ბადრი სხვაძე

მეგობრები და ახლობლები ვნუხართ მისი გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებთ მის შესანიშნავ ოჯახს.

ვარძიის საჯარო სკოლის პედაგოგი და ტექნიკური თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამავე სკოლის პედაგოგებს ელისო და თამარ არჯვანიძეებს საყვარელი მამის

ვალუა არჯვანიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ლეილა, ნარგიზი შარიქაძეები იუნყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი ნათესავი

იური კასილის ძე

კვანტრიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. ვნუხარ, რომ ვერ ვესწრებო დასაფლავებას შეუძლებლობის გამო.

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ შორენა გურგენიძეს მამიდის **მამული გურგენიძე-მალრაძის** გარდაცვალების გამო.

მამუკა ლომიძე (ხარაგაული)

ევროპაში ცნობილი ბარიტონი, ხარაგაული მამუკა ლომიძე, იტალიის ქალაქ ლივორნოში, გოლდონის თეატრში მართავს სპექტაკლებს. ამ თეატრში ორი წლის წინ მამუკა ლომიძეს მასკანის რეპერტუარის საუკეთესო შემსრულებლის პრემია მიანიჭეს, მარშან ოპერაში „ტოსკა“ სკარპიას როლი შეასრულა. წლებადღეს სეზონზე კი ამავე თეატრში ალფიოს როლის შესასრულებლად მიიწვიეს მასკანის ოპერაში „სოფლის ღირსება“.

„ლივორნო მასკანის მშობლიური ქალაქია და ტრადიციულად ყოველწლიურად დგამენ „ტოსკას“, - გვიამბობს მამუკა ლომიძე, - ამიტომ ამ ოპერაში სიმღერა დიდი პატივი და უდიდესი პასუხისმგებლობაა. ძალიან კარგ დირიჟორთან ვმუშაობთ; რეჟისორიც შესანიშნავია, - ალფიოს როლს - ადრე, სლოვენიაში სკარპიას როლს რომ ვმღეროდი,

მამინ დაემსწრო სპექტაკლებზე და დღემდე ვმეგობრობთ. თუმცა პირველად ვმუშაობ სპექტაკლებში მასთან, როგორც რეჟისორთან. ძალიან ძლიერი რეჟისორია ალფიოს პიკეც. დიდებულია ამ სპექტაკლებში მონაწილეობა.

11 დეკემბერს გაიმართება პრემიერა. კადრებს ჩამიწერენ და გამოვიგზავნით.

მომიკითხე ჩემი ხარაგაულელები...

ჰო, მართლა, სპექტაკლის პროგრამაში ჩაუწერიათ მონაწილეობა, - ზოგი ავსტრიელია და ჩაუწერეს - ავსტრია, ამერიკელს - ამერიკა, ფრანგს - საფრანგეთი და ა. შ. ჩემზე წერია... მამუკა ლომიძე (ხარაგაული). ერთ-ერთი მთავარი როლის, სანტუცას, შემსრულებელი, - ავსტრიელი მომღერალი ივონ მანფრედა, - ქართველის მეუღლეა და მან აღმოაჩინა...

ლაურა გომოლაძე

პირველობა ძიუდოში



ზვარე, სანდრო დალალიშვილი (60 კგ. ზვარე), შალვა თიკანაშვილი (66 კგ. ზვარე), მამუკა დალალიშვილი (+66 კგ. ზვარე).

მეზხინა ლონდაძე ხარაგაულის სპორტის მართვისა და განვითარების მუნიციპალური ცენტრის პროექტების მენეჯერი

„კინო სკოლაში“

სკოლებში რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტი „კინო სკოლაში“, რომლის მიზანი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობაში კინოხელოვნების პოპულარიზაცია. პროექტში ჩართული იყო ხევის საჯარო სკოლა. პროექტის მონაწილეები საშუალება გაეცნენ მსოფლიო კინოს შედეგებს, შეისწავლეს კინოსეზონზე მუშაობა, გადაიღეს მოკლემეტრაჟიანი

ფილმი, 6 დეკემბერს კი თბილისის ფილმისტივის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა პროექტის დახურვა, სადაც აჩვენეს მოსწავლეებისგან გადაღებული ფილმები. მოგწყო ფილმების მიხედვით შექმნილი პოსტერების გამოფენა და დაჯილდოება. მონაწილეები შეხვდნენ განათლებისა და კულტურის მინისტრებს, კინოპროექტის დირექტორს. ამაღელვებელი იყო შეხვედრა ქართული კინოსა და თეატრის კორიფეებთან: გივი

ბერიკაშვილთან და კახი კავსაძესთან, რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილთან. ღონისძიებას დაესწრნენ ხევისა და ნადაურის სკოლების მოსწავლეები.

პროექტის მონაწილეები მადლობას უხდებიან კურსის წამყვანს გივია ლიკლიკაძეს და ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ჩვენს სკოლაში ამ საინტერესო პროექტის განხორციელებაში ხელშეწყობისათვის.

მანანა ტაბატაძე

შეხვედრა ფრიდონ მალრადესთან

5 დეკემბერს, ხარაგაულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზში ლეღვის საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორის, პედაგოგ ჯემსი ვეფხვაძის ინიციატივით ლეღვის მკვიდრ, მწერალ და ქველმოქმედ ფრიდონ მალრადესთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე მონაწილე იყვნენ მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებისა და სკოლების დასწავლეთი კლასების პედაგოგები.

ბატონმა ჯემსი ვეფხვაძემ მონაწილე სტუმრებს გააცნო ფრიდონ მალრადის შემოქმედება, მისი გალექსილი საბავშვო ზღაპრები. ფრიდონ მალრადის შემოქმედებასა და დაბადების დღეს ვულოცავთ

მეღვებასა და ქველმოქმედებაზე ისაუბრეს იმა ვეფხვაძემ და ლეღვი შარიქაძემ. მუშუქის დირექტორმა ნინო დიდიძემ გამოთქვა სურვილი, რომ სამომავლოდ, ბატონ ფრიდონს შეხვედრა მოეწყონ ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში, სადაც მის შემოქმედებასა და საბავშვო ზღაპრებზე თვალ ბავშვები ისაუბრებენ.

დასასრულს, აუდიტორიას მიესალმა ფრიდონ მალრადე და ისაუბრა საბავშვო ზღაპრებსა და საკუთარ შემოქმედებაზე. მონაწილე სტუმრებს მან საბავშვო ბაღებისა და სკოლებისთვის საჩუქრად გადასცა თავისი წიგნები.

ვულოცავთ დაბადების დღეს ნიფის ამბულატორიის ექთანს **მეზა ბანცაძეს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და უღრეს სიხარულს საყვარელ ახლობლებთან ერთად. უფალი თვარავდეს მის ოჯახს.

ფიფის აღმინსტრაციული მართვლის თანაგრომლები, ოჯახის მძიმე და გზობითაგარი

ფიფის აღმინსტრაციული მართვლის თანაგრომლები, გზობითაგარი

სარაგაულის შ. ანდრია კირკელაშვილის სახელობის სასულიერო ბიძაშვილის კვლავი მართვლის თანაგრომლები

ნიფის საჯარო სკოლის თანამშრომელს **მძიმე კარიშვილი-გულაძეს** ვულოცავთ შვილიშვილის **მარიამ გომბაძის** დაბადებას. ვუსურვებთ პატარა **მარიამს** ჯანმრთელობას, სიკეთეს, სიხარულს, ბედნიერ მომავალს და ღირსეულ ქართველ ქალად აღზრდას.

ფიფის საჯარო სკოლის აღმინსტრაციული მართვლის თანაგრომლები და მამუკა ლომიძე

დაბადების დღეს ვულოცავთ ლეღვის თევზი დაბადებულ ზვარის საჯარო სკოლის პედაგოგებს **ცილა კიკნაძეს, შინა თიკანაშვილს, ვლადიმერ ტაბატაძეს** და ბუღალტერ **ლალა თიკანაშვილს**. თითოეულ მათგანს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და უფლის მფარველობას. კიდევ ბევრჯერ მოგველოცოს თქვენთვის ეს დღე.

ზვარის საჯარო სკოლის ღირამცია, კვლავი მართვლის თანაგრომლები

ვულოცავთ დაბადების დღეს ნიფის აღმინსტრაციული ერთეულის რწმუნებულს **მანა ბანცაძეს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და უღრეს სიხარულს თავის საყვარელ ქმარ-შვილთან ერთად. უფლის მფარველობა არ მოკლებოდეს.

ფიფის აღმინსტრაციული მართვლის თანაგრომლები, გზობითაგარი

თამარა ბაგოს ნანატრ შვილიშვილს **გიორგი ლურსაბაშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და უღრეს სიხარულს თავის პატარა დაივი **თამართან** და ყველა კარგის მსურველთან ერთად.

ჯუშაგარი ხიჯაბაძე ოჯახით

ჩემი ხატი სამშობლო

ამ სიტყვებით დაიწყო ლეღვის საჯარო სკოლაში ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან 100 და დაბადებიდან 175 წლის იუბილეს. მომავალი თაობა და ვერც ქართული საზოგადოება ვერ დაივიწყებს იმ უანგარო მოღვაწისა, რაც მან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გზაზე განვლო ილიასთან ერთად. „საქართველოს ბუღალტერ“ წოდებული პოეტს შემოქმედებითი საქმიანობა მიმართული ჰქონდა ერისა და მომავალი თაობების უკეთესი მომავლისთვის.

ღონისძიების ხელმძღვანელებმა ბილიოთეკარმა თამარ მალრადემ და სპექტაკლმა ირმა მიქაბერიძემ სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით ლამაზი და სასიამოვნო შემოქმედებითი საღამო აჩუქეს მამუკა ლომიძეს. ღონისძიება მიჰყავდა მეექვსე-მეშვიდე კლასების მოსწავლეებს თამარ სათი-

რიშვილს და გვანცა შარიქაძეს. სააქტო დარბაზში ერთმანეთს ლექსებითა და სიმღერებით ენაცვლებოდნენ გიორგი და ანა მალრადეები, ვალერი შარიქაძე, თემურ მალრადე, გიორგი ბოლქვაძე. პატარა მსახიობებმა ნინო ფეციალაძემ და გიორგი მალრადემ წარმოადგინეს აკაკის ნათარგმნი რუსული იგავ-არაკი „მეგობარი და კრავი“ და მოწონება დაიმსახურეს. მოსწავლეებმა გაიხსენეს და მსმენელს კიდევ ერთხელ გაახსენეს აკაკის ბავშვობა სხვიტორსა და საგანეში, სწავლის წლები ქუთაისის კლასიკურ განმაზიმაში. სცენაზე მუსიკის პედაგოგმა ინგა ლაყაბიძემ და ირინა შარიქაძემ სიმღერებდა აუღრესული ლექსები „ციციანათლა“, „სულიკო“ და „ჩონჭური“ მოასმენინეს დამსწრე საზოგადოებას.

ილიასთან და იაკობთან ერთად შექმნა დიდმა აკაკიმ ახალი სიმღერა-ტერა ენა. ხალხთან მიიტანა ხელით საკვამანებელი ხალხური სიტყვიერება

და წარმოაჩინა მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიასა და მწერლობაში.

აკაკის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარებასთან დაკავშირებით სოფრომ მგალობლიშვილი წერდა: „გამოგავკლდა აკაკი, მაგრამ მინც ვერ ვეტყვი ჩემს ტურფა ქვეყანას: ვაი, შენ, აკაკის დამკარგავსა. არა, მე პირიქით, შევალადებ სამშობლოს, - ვაჰა, ვაჰა, შენ ტურფა ქვეყანავ, სამშობლო ჩვენი, წარმოშობისათვის დიდებულის აკაკისა, ვაჰა, შენ ამისთანა ადამიანის შობისათვის.“

ლეღვის საჯარო სკოლის კედლები სასიამოვნო განწყობით გაათბეს სკოლის მოსწავლეებმა, რომლებიც არასოდეს დაივიწყებენ დიდ შემოქმედსა და მამულიშვილს - აკაკი წერეთელს.

მანანა კიკნაძე ლეღვის საჯარო სკოლის დირექტორი

ყურადღება!

ხარაგაულის მოსახლეობისთვის „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრ - ხარაგაულში“ პროფესორი ალექსანდრე ალექსიძე ჩაატარებს თვალის ოპერაციებს.

მსურველებმა უახლოეს დღეებში მიმართეთ ოფთალმოლოგ ირინა ბიბიჩაძეს დიაგნოზის დასასმელად და საბუთების გასაფორმებლად. თან იქონიეთ პირადობის მოწმობა.

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ ტელეფონით 577 59 76 52 („რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი - ხარაგაულის“ რეგისტრატურა).

„რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი - ხარაგაულის“ აღმინსტრაციული მართვლის თანაგრომლები

დ. ხარაგაული	კიჭხი
11.12 - მოღრუბულობა უნაღრუბო, დღე +14°C, ღამე +8°C;	11.12 - მოღრუბულობა უნაღრუბო, დღე +13°C, ღამე +7°C;
12.12 - მოღრუბულობა უნაღრუბო, დღე +12°C, ღამე +7°C;	12.12 - მოღრუბულობა უნაღრუბო, დღე +10°C, ღამე +5°C;
13.12 - მოღრუბულობა ნაღრუბო, დღე +9°C, ღამე +7°C;	13.12 - მოღრუბულობა ნაღრუბო, დღე +7°C, ღამე +6°C;
14.12 - ცვალებადი მოღრუბულობა უნაღრუბო, დღე +9°C, ღამე +6°C;	14.12 - ცვალებადი მოღრუბულობა უნაღრუბო, დღე +8°C, ღამე +4°C;
15.12 - შხიანი დარი, დღე +9°C, ღამე +5°C;	15.12 - შხიანი დარი, დღე +8°C, ღამე +4°C;
16.12 - შხიანი დარი, დღე +9°C, ღამე +7°C.	16.12 - შხიანი დარი, დღე +9°C, ღამე +5°C.
პირიტი	მორიტი
11.12 - მოღრუბულობა უნაღრუბო, დღე +12°C, ღამე +5°C;	11.12 - მოღრუბულობა უნაღრუბო, დღე +10°C, ღამე +3°C;
12.12 - მოღრუბულობა უნაღრუბო, დღე +10°C, ღამე +4°C;	12.12 - მოღრუბულობა უნაღრუბო, დღე +8°C, ღამე +2°C;
13.12 - მოღრუბულობა ნაღრუბო, დღე +7°C, ღამე +5°C;	13.12 - მოღრუბულობა უნაღრუბო, დღე +6°C, ღამე +3°C;
14.12 - ცვალებადი მოღრუბულობა უნაღრუბო, დღე +8°C, ღამე +3°C;	14.12 - ცვალებადი მოღრუბულობა უნაღრუბო, დღე +6°C, ღამე +1°C;
15.12 - შხიანი დარი, დღე +6°C, ღამე +3°C;	15.12 - ცვალებადი მოღრუბულობა უნაღრუბო, დღე +5°C, ღამე +1°C;
16.12 - შხიანი დარი, დღე +5°C, ღამე +3°C.	16.12 - ცვალებადი მოღრუბულობა უნაღრუბო, დღე +4°C, ღამე 0°C.

<p>მთავარი რედაქტორი ლაურა გომოლაძე 593 900 501</p>	<p>რედაქტორის მოადგილე ნინო კაპანაძე 593 35 65 80</p>	<p>დიზაინერი შოთა ლომიძე 557 10 20 47 shotiko@lomidze.info</p>	<p>მის.: ხარაგაული, სოლომონ მეფის №59 ტელ.: 0 433 22 16 27 593 900 501 gogoladze.laura@gmail.com გაზეთი რეგისტრ. №47/5-ბ-12</p>
---	---	--	---